სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

19 ივნ 2025

გადაწყვეტილება # 882025555384-08 (19.06.2025)

რეგისტრაციის შესახებ

განცხადების ნომერი: **882025555384** განცხადების მიღების თარიღი: **20.05.2025 11:30**

დაინტერესებული პირი: **ანნა კვირკველია (48001002503)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N197, 01.13.02.001.019**

მომსახურების სახე: **სერვიტუტის უფლების ცვლილების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე**

დ ა ს კ ვ ნ ა

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-13-157758-25
23 / 06 / 2025

შპს „ARTLINE WINGS'-ის
დირექტორს ანნა კვირკველიას

ქალბატონო ანნა,

თქვენი მიმდინარე წლის 19 ივნისის №01-13-157758-25 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №197-ში (საკ. კოდი 01.13.02.001.019) არსებული მიწისქვეშა, საშუალო წნევის D=70 მმ-იანი გაზსადენის რეკონსტრუქციას გაცნობებთ, რომ კომპანიის მიერ განხორციელდა არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლა.

შპს „თბილისი ენერჯის" მიერ დადგინდა საპროექტო ღირებულება, რომელიც შეადგენს 460 (ოთხასსამოცი) ლარს. სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოქმედი რეგულაციების მიხედვით, შპს „თბილისი ენერჯი" ქსელის გადალაგების სამუშაოებს ასრულებს მიწის ქვეშ და შესაბამისად მილსადენი უნდა განთავსდეს მიწაში. მილსადენის გადაადგილების შესაძლებლობა და ტრაექტორია განისაზღვრება პროექტირების ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუ გარემო ფაქტორების გამო ვერ განხორციელდა საინჟინრო პროექტის მომზადება, გადახდილი თანხა დაგიბრუნდებათ ხელშეკრულებაში მითითებულ ანგარიშზე.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებისას უპირობოდ უნდა იყოს დაცული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის #1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" და СНиП 2.04.08-87*.

თქვენს მიერ საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების სრულად ანაზღაურების, ხელშეკრულების გაფორმების და საჭიროებისამებრ, სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი ნებართვების (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, კერძო მესაკუთრე) მოპოვების და წარმოების შემთხვევაში, კომპანია მზად არის განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები.

ხელშეკრულების გასაფორმებლად ეწვიეთ კომპანიის ვებ-გვერდს www.te.ge, შევსებული ფორმა გადმოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე public@te.ge. შეთავაზება ძალაშია 3 (სამი) თვე.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში